პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 72 (14068) | ოთხშაბათი, 27 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს მოხდა გუშინ

კვარტალური გეგმა — ვადაზე ადრე

თბილისის რძის კომბინატი (დირექტორი ა. ქადაგიძე) ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა რესპუბლიკაში. აქ ყოველდღიურად 30 სახის სხვადასხვა დასახელების ნაწარმს უშვებენ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა დიეტური რძის პროდუქტებზე, როგორიც არის მაწონი, კეფირი, არაყანი, ხაჭო და სხვ. მიმდინარე წლის თებერვალში აქ აითვისეს ახალი სახის პროდუქციის — „ჯანმრთელობის“ წარმოება, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

გუშინ კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა კვარტალური გეგმა და დარჩენილ დღეებში ვარაუდობს მომხმარებლებს გეგმის გადამეტებით მიაწოდოს 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

კოლექტივის საერთო წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს კომუნისტური შრომის მეკავერძის ნაწარმისა (უფროსი ი. ჩიქობავა) და რძისა და დიეტური პროდუქტების ჩამომსხმელმა (უფროსი თ. ღოღობერიძე) საამქროებმა, ყველის მეკეთებელმა ოსტატმა თ. ჩუბინიძემ, არაყანის დამამზადებლებმა ვ. ვასილენკომ, ზ. კვირიკაშვილმა, გ. ოგანოვმა და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით, 125 პროცენტით ასრულებდნენ.

ფოტოები ა. მაჰამარიანისა, თ. შონგელიასი (საქდესის ფოტოქრონიკა) და ა. ჰელიძისა.

მეცხოველეობა და რენტაბელობა

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობას; მის განუხრელად განვითარებაზე, რენტაბელობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მეცხოველეობის პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი წარმოება მეტწილად იზრდებოდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურის, ყოველი ჰექტარი მიწის უკეთ გამოყენების, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირების ხარჯზე.

ეს ამოცანები ნათლად არის განსაზღვრული პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. რესპუბლიკის მეცხოველეებმა დასახული ღონისძიებების განხორციელებისათვის კარგად იმუშავეს გასულ საიუბილეო წელს. მათ სამშობლოს მისცეს ათასობით ტონა ზეგეგმითი ხორცი, რძე, მატყელი, მილიონობით ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.

მეცხოველეობაში რენტაბელობისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა რესპუბლიკის მრავალმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ. შარშან მოპოვებული წარმატებებისათვის წითელწყაროს რაიონს მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამავე რაიონის ზემო მაჩხაანისა და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობები წლითიწლობით ზრდიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, აწარმოებენ პროდუქციის თვითღირებულებას და იძლევიან ზეგეგმითს მოგებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ბაზგასმით აღინიშნა, რომ ყველაზე როდია გაწელილი გრძოლა ეკონომიისა და მომგებიანობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, წარმოების რენტაბელობის გაზრდისათვის. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია. რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში როდის ჯეროვნად დაყენებული შრომის ორგანიზაცია და აღრიცხვა, არის კოლმეურნეობათა მატერიალური და ფულადი სახსრების არაბუნებრივად ერთიანი ანგარიშგების ფაქტები, დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მეცხოველეობის ფერმებში.

როცა მეცხოველეობის რენტაბელობაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობების მუშაობის ავ-კარგს. სწორედ მეცხოველეობის რენტაბელობის უზრუნველყოფისათვის 1964 წელს შეიქმნა ეს ტრესტი. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ტრესტმა არსებობის მცირე მონაკვეთში მრავალი ქმედითი ღონისძიება განახორციელა და ამის შედეგად მთელი რიგი მეურნეობები წლითიწლობით ამრავლებენ წარმოებებს, ბევრი მეურნეობა კი თანდათან აღწევს თავს ჩამორჩენას.

მაგალითისთვის ავიღოთ ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის სანაშენო და ადიგენის რაიონის ზოხის საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები პ. ჯაბარულიძე და ე. ლილუაშვილი). ალვანელებმა 1966 წელი 821 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრეს, 1967 წელს დაახლოებით 850 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. შარშან ქვეყანას მისცეს 1.800 ტონა ხორცი, 1.880 ტონა რძე, 235 ტონა მატყელი. ზოხის მეურნეობამ, რომელიც 1967 წელს 28.000 მანეთი ზარალით იყო დაგეგმილი, მიიღო 38.200 მანეთის მოგება. უკანასკნელ წლებში გამართულად, რენტაბელურად მუშაობენ ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის, დმანისის რაიონის ვაყის, ახალქალაქის, რაიონის ოკამის, ვაჩიანის და კარწახის, წალკის რაიონის ავრანლოს და ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობები.

ეს წარმატებები განაპირობა ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ორგანიზატორულმა, გონივრულმა შრომამ, მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ, ზოოვეტერინარული წესების ზუსტად დაცვამ, მეცხოველეებისადმი ზრუნვამ.

მაგრამ იქ, სადაც ამ მოთხოვნებს არ იცავენ, მინდობილი საქმისადმი იჩენენ უპასუხისმგებლობას და არ ეწევიან ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას, თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას. თუმცა ყოველ წელიწადს საზეიმო დაპირებებს იძლევიან, კისრულობენ ვალდებულებებს, ხოლო შესრულება არა ჩანს! ასეა საქმე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების საგრძნობ ნაწილში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე პარტიულ კრებებზე, თათბირებზე გულისტკივილით აღნიშნავენ, იღებენ ღონისძიებებს, ჩამორჩენა კი წლითიწლობით გრძელდება. აქ ცუდად უძღვებიან მეურნეობას, საქმით არ განმტკიცებენ დადებულ პირობას, არ ზრუნავენ საკვები ბაზის შექმნაზე, პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე.

მართალია, მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა კოლხიდის ზონის — ჭალადიდის, ახალი სოფლის, ქვალონის, პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობებს, მაგრამ როდემდის უნდა შევურიგდეთ ჩამორჩენას? საჭიროა ამ მდგომარეობას უფრო ღრმად ჩაუფიქრდნენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი. აუცილებელია შეექმნათ მტკიცე საკვები ბაზა, გონივრულად განვახორციელოთ შიდასამეურნეო სპეციალიზაცია, მეტი ყურადღება დავუთმოთ ფერმების განლაგება-გამსხვილებას, თესლბრუნვების შემოღებას, საძოვრების გაუმჯობესებას, ახალი ფართობების ათვისებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას წარმოებაში. ამასთან მკვეთრად უნდა ავამაღლოთ მექანიზაციის დონე ფერმებში. ამ საქმეში გადამწყვეტი, ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან სათანადო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“.

ამას წინათ პარტიის გარდაბნის რაიკომთან შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შედიან რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები, მეურნეობათა ხელმძღვანელები. აქ შექმნილ სექციებს მეცნიერი მუშაკები ხელმძღვანელობენ. მათ დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მეცხოველეობაში, ამ მხრივ გარდაბნელებმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს. ეს წამოწყება მისაბაძია.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ რენტაბელობისათვის ლაშქრობას მეცხოველეობაში. დიდი პასუხსაგები სამუშაოები აქვთ რესპუბლიკის მეცხვარეებს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ ქალაქიც უნდა ითავოს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა მეცხოველეობის ახალი ალმავლობისათვის. ამას წინათ გამართულ საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ შარშან კომკავშირული საგზურებით მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ წავიდა ათასზე მეტი ახალგაზრდა. ეს კარგი ტრადიცია მომავალში უფრო მასობრივად უნდა გაგრძელდეს.

ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოთ მეცხოველეობის ყველა დარგის ახალი, მძლავრი აღმავლობა, კოლმეურნეობათა მეცხოველეობის თვითეული ფერმა და რესპუბლიკის მეცხოველეობის თვითეული საბჭოთა მეურნეობა გავხადოთ რენტაბელური, წარმატებული, კადამდე შეეასრულოთ ხუთწლედის დავალებანი! ეს არის ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეთა გადაუდებელი, საბრძოლო ამოცანა.

ხუთწლედი — ვადამდე!

გარდამავალი წითელი დროშა — საქართველოს კოოპერატორებს

1967 წლის მეოთხე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით კაპიტალური მშენებლობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირისა და სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ცეკავშირს.

ცეკავშირმა გადაჭარბებით შეასრულა ძირითადი ფონდებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სამი პროცენტისა 4,3 პროცენტით შემცირდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მოგების გეგმა.

ცეკავშირის სამშენებლო ორგანიზაციებს 1967 წლის განმავლობაში არაერთხელ გაუმარჯვნიათ კოოპერატორთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. (საქდესი).

შრომითი ნოგათი

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი წარმატება მოიპოვა თბილისის მეფრინველეობის შაბრიჰამ. აქ პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე — 25 მარტისათვის შესრულეს. სახელმწიფოს მიეყიდა 4.150 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონი ცალისა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.400 ათასი ცალით მეტი. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. ფრინველის სულადობის ზრდის წლიური გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, კვერცხმდებელი ქათმებისა — 102 პროცენტით. ეს „პოშუნისტის“ რედაქციას აცნობა თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა ბმრაძემ.

ახალი მოდელები

ბათუმი. (საკ. კორ.). ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა წარმოებაში ჩაუშვა 18 ახალი მოდელი — მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ფეხსაცმელი. ისინი გამოირჩევიან ფერებით, ფასონთა და მობდენილობით.

ამჟამად ფაბრიკაში ახალი ფასონის მოდელების ათვისებაზე მუშაობენ, რომელთა ნიმუშები გაიგზავნება აზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე.

ბათუმელი მეფეხსაცმლეები თავდადებით იბრძვიან წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების მეცადინეობა

26 მარტს დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიან მეცადინეობას შეუდგნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების, სმპრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებების გამგეები. კურსებზე ისინი მოისმენენ ლექციებს, მონაწილეობას მიიღებენ სემინარებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის ძირითად პრობლემებზე.

მეცადინეობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხების შესწავლას.

(საქდესი).

ნავოის იუბილეს აღსანიშნავად

ცაგერი, 26 მარტი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა დიდი უზეკეი მწერლისა და მოაზროვნის ალიმერ ნავოის დაბადების 525 წლისთავის მოძღვნილი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის თავმჯდომარეობით განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება დღესასწაულობის მოწყობას, დათქვეს საიუბილეო ზეიმობის თარიღი, გადაწყდა, რომ უზბეკეთში ალიშერ ნავოის დაბადების 525 წლისთავი აღინიშნოს 1968 წლის სექტემბერში.

გორკის საიუბილეო მედალი

ლენინგრადი, 26 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ლენინგრადის ზარაფხანამ დაამთავრა ა. მ. გორკისადმი მიძღვნილი სამახსოვრო ბრინჯაოს მედლის გამოშვება.

მედლის წინა მხარეზე მოქანდაკე ალექსი კოროლიუკმა გამოსახა დიდი პროლეტარული მწერალი შემოქმედებითი სიმწიფის დრო. გვერდით თარიღები: „1868-1968 წლები“. მეორე მხარეზე წარწერა: „გორკი. დაბადების 100 წლისთავი“.

სამახსოვრო მედლის ტირაჟის მეტი ნაწილი გაიგზავნა მოსკოვსა და გორკში.

ყველა ქალაქი

კოსმოსი ნატურიდან

მოსკოვი, 25 მარტი. (საკდესის კორ.). ალბათ არც ერთი სამხატვრო გამოფენა არ აძლევს ადამიანს ფანტაზიას იმდენ რამეს, როგორც ის, რომელიც 25 მარტს გაიხსნა რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. „გველოდეთ, ვარსკვლავნო!“ — ასეთი სახელწოდებით არის გაერთიანებული კოსმონავტი მფრინავის ილეესი ლეონოვისა და ფანტასტი მხატვრის ანდრია სოკოლოვის 70 ტილო.

ჩვენ თვალწინ იშლება პლანეტა ისე, როგორიც ჩანს კოსმოსიდან. ეს არის ნატურიდან დახატული სამყაროს ნაწილი. სამფერი დედამიწის ატმოსფერო ალეექსი ლეონოვს ჩაუხატავს ბორტ-ჟურნალის ფურცლებზე ხომალდ „ვოსხოდ-2“ კაბინაში.

საინტერესოა კოსმონავტის ავტოპორტრეტები — „შავი ზღვის თავზე“ (სწორედ შავი ზღვის თავზე გაგიდა ლეონოვი ვინლილ კოსმოსში), „სკაფანდრი პლანეტის თავზე“, „შალე მიწა ირმება“. და მთავარე, მთვარის ზედაპირი, ასახულია სინამდვილით — ფოტოსურათების მიხედვით, რომლებიც მიღებულია საბჭოთა საალმანტაშორისო სადგურებიდან. აქ, ვამფეფსაზე ფანტასტიკა ხორცს ისხამს. და ამიტომ როგორც რეალობას ისე აღიქვამთ ანდრია სოკოლოვის კოსმოსურ შთანაფიქრს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია უძღვნის თავის ყალამს კოსმოსს. მისი თხზულებების საფუძველია ჩვენი დღევანდელი ცოდნა კოსმოსის, პლანეტების, ვარსკვლავთნაისნობის შესახებ.

„ობი“ ნოვოლაზარევსკაიაში

ლენინგრადი, 25 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ლენინგრადში მეექვსე კონტინენტიდან მოვიდა რადიოგრამა, რომლითაც იტყობინებიან, რომ სამხრეთ პოლარული სადგურის ნოვოლაზარევსკაიას რაიონს მიუახლოვდა ანტარქტიკული ლაშქრობების ფლაგმანი დიზელ-ელექტრომავალი „ობი“, რომელზეც არიან მე-13 საბჭოთა ექსპედიციის მონაწილენი.

„ობმა“ ღუზა ჩაუშვა მურმანსკისა და ოპორნის კონცხებს შორის ყინულის ნაკვეთთან. აქ მას შეხვდნენ მარხილ-მუხლუხა მატარებლის ასკილომტრიანი ლაშქრობის მონაწილენი, რომლებიც ამ ლუხა მატარებლის ასკილომტრიანი ლაშქრობის მონაწილენი, რომლებიც ამ დღეებში ნოვოლაზარევსკაიადან გამოვიდნენ. მატარებლით ჩამოვიდა მოზამთრეთა ძველი ცვლა ოკეანოლოგის ოლეგ სედოვის მეთაურობით. ეს ჯგუფი „ობით“ სამშობლოში გამოემგზავრება. თვითმფრინავმა „ან-6“, რომელიც გემზეა, დაიწყო ნოვოლაზარევსკაიას მოზამთრეთათვის სურსათის გადაზიდვა. დანარჩენ ტვირთს ჩაიტანს მარხილ-მუხლუხა მატარებელი. ნოვოლაზარევსკაიას რაიონიდან „ობი“ სამშობლოში წამოვა.



26 მარტს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივის საზეიმო კრება რევოლუციის ვეტერანებთან, საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთად. კრება მიეძღვნა რევოლუციის მუზეუმისათვის ლენინის ორდენის გადაცემას. მუზეუმის კოლექტივმა ეს საპატიო ჯილდო მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების, სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული გამოცდილების პროპაგანდაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ნაყოფიერი შუამობისათვის.

ორდენი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰ. ნ. დემიჩევმა. (საკდესი).

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმს ლენინის ორდენი გადაეცა

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იორდანიის ელჩი

26 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო იორდანიის ელჩი სსრ კავშირში **აბდულა ზურეიკატი** მისი თხოვნით და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბრის დროს შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს, კერძოდ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ისრაელის-ამასწინანდელ აგრესიულ მოქმედებასთან იორდანიის წინააღმდეგ.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე **ა. დ. შჩიბორინი.** (საკდესი).

უხვი ნადავლი

„სალხინოს“ მშობლიური ნაპირებისაკენ უჰირავს გეზი

ატლანტის ოკეანე. თევზსაჭერ-საყინავი ტრალერი „სალხინო“, 26 მარტი, (რადიოთი). უხვი ნადავლით ბრუნდება სამხრეთ-დასავლეთი ატლანტიკიდან თევზსაჭერ-საყინავი ტრალერის ეკიპაჟი. კოლექტივმა, რომელიც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობდა არგენტინისა და ურუგვაის ნაპირებთან, 4.121 ტონა თევზი დაიჭირა.

რეისის დროს გაყინეს 2.649 ტონა სხვადასხვა ჯიშის თევზი. დამზადებულია 625 ტონა თევზის ფხვნილი. სახელმწიფო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით ოკეანის ტრალერის ეკიპაჟმა 112,7 პროცენტით შეასრულა.

ამ რეისში გემის ეკიპაჟი დიდ ყურადღებას უთმობდა თევზის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. დაზოგილია მნიშვნელოვანი რაოდენობის სარეწი შეჭურვილობა — ტარა, საწვავი, საპოხი მასალა.

ძნელია იმათი ჩამოთვლა, ვინც სამაგალითო შრომით მოიპოვა გემის კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა. საუკეთესო მეზღვაურებს გემის კომიტეტის სხდომაზე მიენიჭათ კომუნისტური შრომის დამკვრელთა საპატიო წოდება. მათ შორის არიან — ტექნოლოგი კუპრეიშვილი, უფროსი ტრალოსტატი დუდინი, თევზჭერის ოსტატი შონია, მატროსები ცხოვრებაშვილი, სიმონია, ხუნდაძე, პაჭკორია, გაწერელია, გოგო, გამმართველი მექანიკოსი ანდრონიკიდი, მეოთხე მექანიკოსი ლიტოვკა, უფროსი ელექტრიკოსი შელეგია და სხვები. თითქმის მთელი რეისის განმავლობაში სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი ეკავა თევზჭერის ოსტატის შონიას ბრიგადასა და მეოთხე მექანიკოსის ლიტოვკას ვახტს.

ახლა „სალხინოს“ გეზი მშობლიური ნაპირებისაკენ უჭირავს.

ჯ. ჯოჯუა,

„სალხინოს“ კაპიტან-დირექტორი.

(საქდესი).



მინდვრებსა და ფერმებში

თესავენ შირაქში, იორზე...

წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებმა ათასობით ტონა ორგანული სასუქი შეიტანეს ნიადაგში. ახლა მიმდინარეობს ფარცხვა, ოთხვა, თესვა.

კოლმეურნეობებმა 20 ჰექტარზე დათესეს კარტოფილი, 700 ჰექტარზე ვარცი და სხვ.

წელს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები 17.000 ჰექტარზე დათესავენ საგაზაფხულო კულტურებს, აქედან მზესუმზირას 8.926 ჰექტარზე. მზესუმზირასა და სიმინდის თესვა პირველმა დაიწყო სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ. აქ უკვე დათესეს სიმინდი 120, ხოლო მზესუმზირა 152 ჰექტარზე.

მზესუმზირას თესვა დაიწყეს აგრეთვე სოფელ ზემო მაჩხაანის, ზემო ქედისა და ქვემო ქედის კოლმეურნეობებმა.

ყოველდღე 80 სათესი აგრეგატი მუშაობს თესვაზე. რაიონის მხვნელ-მთესველთა გადაწყვეტილებაა საგაზაფხულო კულტურების თესვა აგროვადებში დაამთავრონ.

მრავლდება სხვარ-ბატკანი

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ფერმებში ორგანიზებულად მიმდინარეობს დოლი. დღითიდღე მრავლდება ცხვარ-ბატკანი. 95.000 ნერბზე უკვე მიღებულია 77.000-მდე ბატკანი. აღსანიშნავია, რომ რაიონში ჯერჯერობით 100 ნერბზე საშუალოდ მიღებული იყო 87 ბატკანი. უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებს. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში, რომელსაც ლევან კოტაშვილი ხელმძღვანელობს, 100 ნერბზე მიღებულია 93 ბატკანი. 92 ბატკანი მიიღეს და გაზარდეს სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ფერმებში.

წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ რაიონის თერთმეტივე კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა ნამატის წლიურ გეგმას გადაჭარბებით განხორციელებს. თერთმეტივე ფერმაში ტყუპიანობის 240 შემთხვევა იყო. 68 ტყუპი ბატკანი დაიბადა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ფერმაში, ხოლო 48 არგვეტის კოლმეურნეობის ფერმაში. დოლი გრძელდება.

გ. კაკალაშვილი.

წინსვლის რეზერვები

ჩვენი მაღაროს კოლექტივი ვალდებულად ატარებს ს. ორჯონიკიძის სახელს. ისიც გვეამაყება, რომ საბჭოთა კავშირში ეს არის ერთადერთი მაღარო, რომელიც იძლევა უმაღლესი ხარისხის მადანს — პერკოსიდს, რაც ესოდენ აუცილებელია ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობისათვის, ამასთანავე საექსპორტოდ.

ორჯონიკიძელები მხურვალედ გამოვეხმაურეთ მოსკოველთა თაოსნობას და ჩვენებით ლაშქრობაში ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წარმატებით შეხვედრისათვის. ჩვენი ძირითადი ვალდებულებები ასეთია:

ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ ექვსი თვით ადრე. სამშოგლოს გეგმის გადამეტებით მივცემთ მაღალი ხარისხის მადანს — 18.700 ტონას, პეტროკოქსიდგან — 17.000 ტონას, დავზოგავთ 100 ათას მანეთს. მარტო რაციონალიზატორები ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 300 ათას მანეთს.

ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა კონკრეტული საქმეებით დავიწყეთ. საქმარისია ითქვას, რომ მარშან წლიური დავალების გადამეტებით სამშობლოს შევეცით 10.192 ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატი, 8.491 ტონა პეროქსიდი, გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება, დავზოგეთ 87.820 მანეთი.

ახალი ტექნიკის უნარიანად გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების დანერგვით, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გავრცელებით განსაკუთრებით ნაყოფიერად ვიმუშავეთ მეოთხე კვარტალში. გეგმის ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით შეგასრულეთ, თვითღირებულების შემცირებით მივიღეთ 29.000 მანეთი პირობითი ეკონომია. ამ პერიოდში მიღწეული მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი მოვიპოვეთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დავისაკუთრეთ.

მაცარ ზამთარში დავიწყეთ ხუთწლედის მესამე სამეურნეო წელი. დიდმა თოვლმა და ყინვებმა სერიოზული სიძნელეები შეგვიქმნა, მაგრამ ძალებისა და რეზერვების მობილიზაციით სიძნელენი გადავლახეთ, იანვარ-თებერვლის დავალება შევასრულეთ და უკეთ გმუშაობთ მარტში.

მადნის გამოღლების გადიდებისათვის მოვამზადეთ და ავამუშავეთ ბეხუთე საწარმოო უბანი, რომელიც დღელამეში 300 ტონა მაღალხარისხოვან ნედლეულს იძლევა. ახლა ვახორციელებთ ტექნიკური ღონისძიებებს, რათა უბნის ყოველდღიური წარმადობა 500.-600 ტონამდე გაიზარდოს. საამისოდ აქ ამუშავდა საპაერო-საბაგირო გზა, რომელსაც ყოველდღიურად 800 ტონა მადნის გადაზიდვა შეუძლია. ჩვენი მაღაროს წინსვლის მძლავრი რეზერვი და ბერკეტი იქნება ზედა რგანის ახალი მაღარო, რომლის მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს.

ვმუშაობთ ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის. მადნის მომნგრეველი ჩაქუჩების გამოყენებამ გაზარდა სანგრევების წარმადობა, შრომის ნაყოფიერება. მცირე სიმძლავრის გენერატორები მძლავრით შეეცვალეთ. ეს გაათავისუფლებენ მაღაროს ელმავლების ლოკომოტივებს, ადამიანებთან. მათთან ვაწყობთ ლექციათ-საუბრებს ასეთ თემებზე: „შრომა ყოველი სიკეთის წყაროა“, „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“, „შრომის შეგნებული დისციპლინა წარმატების პირობაა“ და სხვ. ზოგჯერ სხვა ხერხსაც მივმართეთ. მაღაროელებმა ზ. ჯაჯანიძემ და დ. მეცხოვრიშვილმა საშუშაო უმიზნოდ გაავლეს. მათი საკითხი მთელი კოლექტივის მსჯელობის საგანი გახდა. ამხანაგებმა ისინი გაკიცხეს, შეარცხვინეს, აუხსნეს, თუ რა ზიანი მოაქვს სამუშაოს გაცდენას, როგორ აფერხებს წარმოების ნორმალურ მუშაობას, უკან ეწევა კოლექტივის ეკონომიურ მაჩვენებლებს. გამცდენთა წინააღმდეგ გამოვიყენეთ ელვა ფურცლები, ადგილობრივი რადიოგადაცემები, ძირეული პრესა. ასეთმა ღონისძიებებმა გაჯერა. შრომის დისციპლინის დამრღვევნი გამოსწორდნენ. მაღაროში მინიმუმამდე შემცირდა უდისციპლინოთა რაოდენობა.

სურათი სრული არ იქნება, თუ არ მოვიხსენიეთ მაღაროს ზოგიერთი წარჩინებული კოლექტივი და ადამიანი. რიტუალად და რენტაბელურად მუშაობენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც შ. ფხალაძე და ტ. ფერაძე უძღვებიან.

მაღალხარისხოვანი კონცენტრატის გამოშვების ხელი ადამიანურ წყდება პერკოსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკებში, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი თავკაცობს. მაღაროსა და ფაბრიკას აკავშირებს საპაერო საბაგირო გზის ენერგიული კოლექტივი ინჟინერ ვ. ხვედელიძის ხელმძღვანელობით.

ჩვენი კოლექტივის საერთო წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტური შრომის დამკვრელ მაღაროელებს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს შ. ჭილაძეს, ა. შეუალაძეს, ვ. ყიფშიძეს, ლ. ჩაგელიშვილს, ა. ცერცვაძეს, ა. მიროტაძეს, ა. კაციტაძეს, ა. სამუურაშვილს, გ. კვნჭოშვილს და სხვებს. ისინი ხუთწლედის ვახტზე დგანან და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ორჯონიკიძელები ახალი რეზერვების ამოქმედებით, შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ტექნიკის მიღწევათა დანერგვითა და მაღაროელთა თავდადებული შრომით წარმატებით ავიღებთ ხუთწლედის ზღუდეებს.

ვ. სამხარაძე,
პიროთერა, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი.

გაზაფხული სოფლად

წერილების მიმოხილვა

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით მიმდინარეობის შესახებ „კომუნისტის“ რედაქცია ყოველდღიურად მკითხველთა მრავალ წერილს იღებს, ამ წერილებში იგრძნობა სოფლის მშრომელთა შემართება.

— ზუგდიდისა და მახარაძის რაიონების მშრომელები წელს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების სიუხვისათვის ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ გადაწყვიტეს აგროვადებში დათესონ სიმინდი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მიიღონ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები, ჩაის ნედლეული და სხვ. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თამარ ფუშანიმ ბრიგადის წევრების სახელით იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 11 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 10 ათასი კილოგრამისა. ზლანტაციები დაბარულია, შეტანილია სასუქები, დამთავრდა ბუჩქების გასხვლა, — გვაცნობებს ზუგდიდიდან სოფლკორი ბ. ძიბაძეს.

— ქობულეთის რაიონის სოფელ ჭაჭეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ზაქარიაძე ბეჯითად მუშაობს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, — გვწერს „კომუნისტის“ სოფლკორი შ. ოქროპირიძე.

ხუთწლედის დავალების ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით განაგრძობენ ლაშქრობას ცხაკაიის რაიონის მეჩაიეები. ამ დღეებში პლანტაციებში დიდი გამოცოცხლებაა. ისხვლება ჩაის ბუჩქების უკანასკნელი ჰექტარები, წესრიგში მოჰყავთ სპლანტაციო გზები, ფარდულები. ეს სამუშაოები კარგად მიმდინარეობს სოფელ ეკის კოლმეურნეობაში. დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ პირველი, მესამე და მეოთხე ბრიგადები. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ელენე ცხვიტაური, გული ძვარცხავა, ნატრული ციალა აფხაზავები, თინა შუბლაძე და სხვები ეს გვაცნობა „კომუნისტის“ სოფლკორმა ს. კუჭავამ.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყათის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. ბუბუტაძე გვწერს: შარშან მიღწეულ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობამ. მათ შორის აღსანიშნავია გული თხილავიანი, ნათელა კონცელიძე, შ. ჭაღალიძე. თვითეულმა მოკრიფა 6-8 ტონა ჩაის ფოთოლი. პირადად მე შარშან მოკრიფე 8,2 ტონა „მწვანე ოქრო“, მაგრამ წელს მეტი წარმატებებისათვის გავაჩაღე ლაშქრობა. ბობოყათელები სიტყვას არ გატეხენ.

აბაშის რაიონის მხვნელ-მთესველები უკვე გავიდნენ მინდვრად, მექანიზატორები სიმინდის დასათესად ამზადებენ ნიადაგს. მათ გადაწყვიტეს წელს სატრაქტორო სამუშაოები (რბილ ხვნაზე გადაყვანით.) ჩაატარონ ათასობით ჰექტარზე, ამასთან 5 პროცენტით დაზოგონ საწვავი. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაყოფილების მექანიზატორები ოკვე შეუდგნენ ყამირი მიწის ათვისებას — გვწერს სოფლკორი ი. ოქუშარია.

— გაზაფხულის პირველ დღეებშივე კარგი სტარტი მიეცეს შუახევის რაიონის დღანის კოლმეურნეობის მეთაბაქოეებმა, — გვაცნობა ამავე კოლმეურნეობის ბუხალტერმა, სოფლკორმა ბ. შუტკარაძემ. კოლმეურნეებმა ეთერ, თუნთელ, ფატრუ, სულთან ფუტკარაძეებმა გადაწყვიტეს წელს მიიღონ 6.900 კილოგრამი თამბაქო.

— გულრიფშის რაიონის მაჭარას ბაკურაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ფართოდ არის დაგრეული შრომატეგად სამუშაოთა მექანიზაცია. აქ ძრობის წველა მექანიზებული წესით წარმოებს. უკვე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სანელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 81,2 ცენტნერი რძე ნაცვლად 50 ცენტნერისა, — გვატყობინებს სოფლკორი დ. დადიანი.

შუახევისა და ქედის რაიონების მეთამბაქოეების თავდადებულ შრომაზე მოგვითხრობენ რედაქციაში მიღებული წერილები. მეთამბაქოეები ვ. კონცელიძე, ლ. შარაძე (ქედის რაიონი), ე. ფუტკარაძე, ნ. ფუტკარაძე, მ. კეშერაძე, დ. დავითაძე გვწერენ იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, მეცხოველეთა შრომაზე, პირველ წარმატებებზე გვწერენ სოფლკორები: ნ. ძაძამაძე (ბათუმის რაიონი), ი. ნიბალიძე (ქედის რაიონი), ნ. ბოლქვაძე (ოზურგეთის რაიონი), ბ. ბაბუხადია (ადიგენის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ასპინძის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ახალციხის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ბორჯომის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ხარაგაულის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ონის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ამბროლაურის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ლენინგორის რაიონი), ბ. ბაბალიანი (ალაგირის ველი), ბ. ბაბალიანი (ბულაჩაურის ველი), ბ. ბაბალიანი (ბაკურიანი), ბ. ბაბალიანი (ბაზალეთი), ბ. ბაბალიანი (ბანოვკა), ბ. ბაბალიანი (ბაბანეული), ბ. ბაბალიანი (ბაბანეული), ბ. ბაბალიანი (ბაბანეული

მსოფლიოს დეკეშათა
საagენტოების გეატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება

მხოლოდ ფაქტები

პარიზი, 25 მარტი. (საკ-დესი). დღეს უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმ-ჯდომარე ენე ფოკი ჩამ-ოვიდა ან ოფიციალურ ვიზიტად, რომელიც 30 მარტამდე გასტანს.

ენე ფოკი შეხვდება და საუბრებს გამართავს პრე-ზიდენტ დე გოლთან, პრე-მიერ-მინისტრ ჟ. პომპიდუ-სთან და საფრანგეთის სხვა ხელმძღვანელებთან. ვიზიტის პროგრამით გათ-ვალისწინებულია ორი დღის მოგზაურობა ლიონ-ში, აგრეთვე საავტომო-ბილო ქარხნების დათვა-ლიერება პარიზის გარეუ-ბან გულონ-ბიანკურში.

ლაგოსი, 25 მარტი. (საკდე-სი). აქ ოფიციალურად გამოაცა-ხადეს, რომ ფედერალურმა ჯა-რებმა დაიკავეს კიდევ სამი ქა-ლაქი აღმოსავლეთ ნიგერიაში — იტუ, მბაკი და იკოტა-ოფორ-ონგი. დასახლებული ქალაქები განლაგებულია ქალაქ კალაბა-რის საქმეობრნი აღმოსავლეთ ნი-გერიის დიდმნიშვნელოვან სავა-ჭრო ცენტრ ონიტშიდან 160 კილომეტრზე, რომელიც ფედერ-ალური ჯარების ნაწილებმა დაიკავეს 21 მარტს.

ლაგოსში გამოქვეყნებულ სა-მხედრო ბიულეტენში აღნიშნულ-ია, რომ კვლავ დაკავებული ქალაქების მოსახლეობა თანამშ-რომლობს ფედერალური მთავა-რობის ჯარებთან.

ტოკიო, 25 მარტი. (საკ-დესი). დღეს ძლიერი მი-წისძვრა მოხდა სამხრეთ იაპონიის კიუსიუს კუნძულ-ზე, რამდენიმე ხუთ გა-ლამდე სიმძლავრის ბიძგე-ბის შედეგად (იაპონიის შვიდგალიანი სისტემით) დიდი ზარალი მოუვიდა ორი ქალაქის — ეგინოს, (მიაძაკის პრეფექტურა) და იოსიმაცუს (კაგოსი-მას პრეფექტურა) მოსახ-ლეობას. 300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი მთლი-ანად ან ნაწილობრივ არის დანგრეული, დაზიანდა გზატკეცილები, წამოვიდა ზვავები და მეწყერები.

პრაღა. 26 მარტი. (საკდესი). დოლნი როქენში საცდელი ექსპლოატაციისათვის გადასცეს გურანის მადნის ქიმიური დამუშავების ახალი ქარხანა. ეს ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა ევროპაში. როცა ახალი საწარმო მთლიანი სიმძლავრით ამუშავდება, სოციალისტური ჩეხოსლოვაკია მიიღებს კიდევ მეტ საჭირო ატომურ სათბობს სახალხო მეურნეობისათვის. აგრეთვე მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მასალებს სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისათვის.

პოზნანი. 26 მარტი. (საკადესი). აქ დაიხურა 21-ე ერთვნული გაზრობა „გაზაფხული — 68“. ბაზ-რობაზე გამოფენილი იყო მრეწველობის, კოო-პერაციებისა და ხელოს-ნების ნაწარმი, დაიდო 70 ათასამდე გარიგება 30 მილიარდ ზლოტზე მეტი.

მეტი წილი საქონელი გამოფენებულია ახალი ნი-მუშეების მიხედვით. მნიშ-ვნელოვნად გაუმჯობეს-და მათი ხარისხი.

ბრაზილია. რიო-დე-ჟანეი-როს ჯურღმულებში.
ფოტო კეისტონ-საკადესისა.

მოზამბიკი იბრძვის თავისუფლებისათვის

დარ-ეს-სალამი, 26 მარტი. (საკდესი). „მოზამბიკის გა-ნთავისუფლებისათვის მებრძოლებმა ახალ პროგრესს მიაღ-წიეს თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ დღეებ-ში გაიხსნა ახალი, სათვალავით მესამე, შეიარაღებული ბრძოლის ფრონტი მოზამბიკში, ამჯერად ტეტეს პროვინცია-ში“, — განაცხადა გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე ფრე-ლიმოს პრეზიდენტმა ედუარდო მონდლანემ.

ტეტეს პროვინცია, სადაც საბ-რძოლო მოქმედება დაიწყო, მო-ზამბიკის ერთ-ერთი უდიდესი პროვინციაა: აქ კარგად ბრძს გა-ვითარებული სამთამადნო მრეწ-ველობა, აგრეთვე მიწათმოქმედე-ბა და მეცხოველეობა. მაგრამ პორტუგალიის კოლონიური ხელ-ისუფლებისათვის ამ პროვინ-ციას განსაკუთრებით დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ განზრახულია კაბორა-ბასის რაი-ონში აშენდეს აფრიკის უდიდესი ჰიდროელერგეტიკული კომპლექსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღე-ბენ ამერიკის შეერთებული შტა-ტების, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიისა და იაპონიის უდიდესი კონცერნები. ჰიდროსადგური გა-მოუშვებს 17 მილიარდამდე კილ-ოვატსაათ ელექტროენერგიას, რომელსაც მიიღებენ აგრეთვე მალავი, როდეზია და სამხრეთი აფრიკა. ამ რაიონში გათვალის-წინებულია მილიონამდე პორტუ-გალიელი თეთრკანიანი ემიგრან-ტის დასახლება.

„შეიარაღებული ბრძოლის ახალ ფრონტის გახსნას,— ხაზი გა-უსვა შემდეგ მონდლანემ, — მარ-ტო ჩვენი ქვეყნისათვის კი რიდ-გალ-ეროს ეროვნული-განთავისუფლებითი ფრონტ-ის ბრძოლა-ში ... ...

ცნობათა კუთხე

მკითხველთა თხოვნით

● იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ძველი ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის — ვარძიის დაცვა-შენახვა, მისი უსაშიშროება ტურისტთა და ექსკურსანტთა მიერ დათვალიერების დროს, კეთილმოწყობა და სისტემატური მოვლა, აგრეთვე ძეგლის იმ უბნების შემდგომი შესწავლა, რომლებიც ამჟამად დამალულია ნანგრევებქვეშ, და იმისათვის, რომ წესრიგში მოყვანილ იქნას ახლომდებარე ძეგლები (ზედა ვარძია, ხვილიშა, ხერთვისისა და თმოგვის სომაგრეები), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან შექმნეს ვარძიის ძეგლის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საძიებო, სარესტავრაციო გამაგრების სამუშაოთა და მისი შესწავლისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა კოორდინაციის მუდმივი კომისია.

● ლანჩხუთისა და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების ინიციატივით ვ. ი. ლენინის ძეგლები დაიდგმება ლანჩხუთისა და სიღნაღის რაიონულ ცენტრებში.

● ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლას მიეკუთვნა ამავე სკოლის დამაარსებლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, აკადემიკოს დიმიტრი ნიკოლოზის-ძე უზნაძის სახელი.

● საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი 1968-1969 სასწავლო წლიდან ქ. თბილისის ლენინის რაიონში მდებარე ერთ-ერთ საწავლებელში მოაწყობს 30 კვალიფიციური მუშის ყოველწლიურ მოამზადებას თბილისის მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკისათვის, მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების დეტალების წარმოებისათვის საჭირო ავტომატების ამწყობის სპეციალობით.

● სოხი-სოხუმის საავტომობილო გზის ბზიფ-შავწყალას უბნის რეკონსტრუქციის სამუშაოები ეწყობა ორ ცვლად, რაც უზრუნველყოფს გზის ამ უბნის საექსპლოატაციოდ გადაცემას 1968 წელს.

● საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს ნება დაერთო შექმნას 1968 წელს ახალგაზრდობის სპეციალიზებული სპორტული სკოლები სპორტის წამყვან სახეობებში 500 კაცის საერთო კონტინგენტით.

● თბილისში 1969-1972 წლებში აშენდება ცენტრალური სადისპეტჩერო სადგური ყველა სახეობის ისეთი საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის კოორდინირებული მართვისათვის, რომელიც აღჭურვილია კავშირგაბმულობის, ავტომატიკის, ტელემექანიკისა და ტელევიზიის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

● 1968-1973 წლებში ქ. ცხინვალსა და ქ. ქუთაისში აშენდება ავტობუსების კაპიტალური რემონტის თითო ქარხანა, ქ. დუშეთში აშენდება ტაქსომოტორების კაპიტალური რემონტის ქარხანა, ქ. ნნორში კი საგარაჟო მოწყობილობის დამამზადებელი ქარხანა.

● დაეკალა საბჭოთა მეურნეობებს დარჩევა მიეცა იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც საკმარისი მატერიალური შესაძლებლობანი აქვთ, განახორციელონ გამარტივებული ტიპის კინოთეატრების შენებლობა 150-200 მაყურებლისათვის.

● 1968 წლიდან ნეკერჩხლის ჭრა მისი აღმოცენების ყველა რაიონში დაიშვება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ნეკერჩხლის მერქანი გამოყენებულ იქნას მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად.

ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

ქიმიის კათედრის გამგედოცენტის 1 საშტატო ერთეულზე თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსის ვადაა 1 თვე ფლიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.

ის ხატავს საქართველოს...

უკრაინელი მხატვარი ს. გუეცკი

ჩვენი სტუმარი

ცნობილ უკრაინელ მხატვარ სემიონ გუეცკისთვის საქართველო შთაგონების წყარო გახდა. სტუმარი მეორედ ეწვია ჩვენს ქვეყანას და ამჯერადაც შინ ხელცარიელი როდი დაბრუნდება.

დადის თეთრთმიანი კაცი თბილისის ქუჩებში, ოდნავ მოპუტული კეთილი ცისფერი თვალებით, დადის და ყველაფერს გულდასმით აკვირდება. დედაქალაქის თანამედროვე რიტმს ჯერ კიდევ ვერ წაუწლია ძველი უნებების ეგზოტიკური ელფერი. ღამით-დღამითი, გადასახედი, სახურავები კიბის საფეხურებივით მაღლდება. მართლია, მხატვარი სამოცს კარგახანია გადასცილდა, მაგრამ მაინც ყოჩაღ მაბიჯებს. ქმაფენილზე წაკეცილ ჩოდილებს, რტოებზე კვარტებს და ქუჩებში გასაყიდად გამოტანილ ყვავილებს გაზაფხულის სუნთქვა მოუტანია. მხატვარი ფერებს, პოეტი და ფრთხილად აკრავენს თასფერ გამას, რომელსაც სხვა სურნელი აქვს, ალ ამ სურნელს თვალისჩინებიერთ, უფრთხილდება ჩვენი სტუმარი.

მეგობრებმა თბილად მიიღეს. წყნარი სახელოსნო შესთავაზეს. და ახლა ხატავს ქართულ ტიპებს. გასაოცარი სახასიათო შტრიხებით წერს მათს პორტრეტებს. მსუყე ფერებით ქმნის იმ განუმეორებელ კოლორიტს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მისი მანერისათვის. ხატავს მოხუცებს. სახეზე კლასიკურ კონტურთან ერთად იკვეთება წლების და ცხოვრების მიერ დატვეხილი შინაგანი ტკივილი და განცდა. თვითეული ნაკეცი, ნაოჭი მარტოოდენ შტრიხი როდია, საღღაც შუბლზე თუ თვალის გასწვრივ გახახული, არამედ ადამიანის სულიერი სამყაროს მთრთოლვარე ძარღვია. ასეთია მისი ეტიუდები: „გოგონა“, „მოხუცი ცისფერი თვალსაბურავით“, „ჭელიშვილის პორტრეტი“, „სტუდენტი“, „თბილისელი“, „ეროთის ქალი“ და სხვები. თბილისურ მოტივზე შექმნილ სურათებს საღებავი ჯერ კიდევ არ შეშრობიათ და მხატვრის ნამუშევრებს სახელწოდებებიც ჯერჯერობით პირობითია.

დადი და ვრცელი გზა განვლო მხატვარმა. მისთვის უცხო არ არის ფერწერის ისტორიაში არსებული ნარი-ნარი იზმები. ეს, როგორც ძიების მოყვარული კაცი, მოუსვენარი და მოძრავი. მოკრძალებით ეხება იმპრესიონიზმს, კუბიზმს, ნატურალიზმს... ეხება და მერე თავისი გზით მიდის. მხატვარი რეალისტია, იგი გარემოს აფიქრამს არა ფოტოგრაფის ან ნატურალისტის თვალით, არამედ როგორც მოაზროვნე ოსტატი, რომელსაც აქვს საკუთარი ხედვა. მისი ფუნჯი მოკრძალებული ან ფრთხილი კი არ არის, არამედ, პირიქით, ძალიერი ძარღვიანი მონასმი აქვს. ფერებს ქირქუოზული გამომსახველობითა ძალას ანიჭებს. თამამად, თითქმის მკვეთრად იყენებს შუქ ჩრდილს. ქართული მოტივებზე შექმნილ სურათებში ბევრი სანათლეა. მზე ანათებს ტილოს. კარგია გენერალ კობერძის პორტრეტი. ძლიერი ნებისყოფის, გამჭრიახი გონების, ვეფაკაცური შემართების კაცი. ასე შეიძლება ამ ეტიუდის წაკითხვა.

— როგორ მოგწონთ საქართველო? — შეგიკრებეთ ტრადიციული კითხვა. მხატვარმა გაიღიმა.

— მომწონს ეროვნი მშვენიერი ლეგენდა. როცა თურმე მამაზეციერი ქვეყნიერებას ანაწილებდა, კალთა დაიცურდა და ყველა სიკეთე ქართულ მიწაზე დაენთხა... ჩემი მასპინძლებით აღტაცებული ვარ!

— ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ველასკესი... თუმცა აქ წერტილს ვერ დაესვამ, რადგანაც არსებობენ ჯორჯონე, რემბრანდტი, რენოარი...

— რას იტყვით ქართველ მხატვრებზე?

— დიდ პატივს ვცემ მათს ნიჭიერებას. მომწონს ქართული ბედუერობა, ეს ლეთონის სიმღერა, ქაბუკობიდან თაყვანს ვცემ ფიროსმანს...

მხატვარი, რომელსაც იცნობენ და უყვართ არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, უთუოდ საინტერესო შემოქმედია. მართლ ეს ფაქტი რად ღირს, რომ ს. გუეცკის ტილოები გამოფენილია დრეზდენის გალერიაში. სხვათა შორის, ამ ნამუშევართაგან სამი შექმნილია საქართველოში.

შარშან მხატვარს კიევში ეტუმრა დრეზდენის გალერიის გენერალური დირექტორი მაქს ზალდეგიანი, რომელმაც დაათვალიერა მისი გამოფენა. დრეზდენის გალერეისთვის გაიგზავნა კიდევ ერთი დიდი ტილო, რომელიც სემიონ „ბრიეცკის“ ეკუთვნის. ეს გახლავთ „სმოლნი, 1917“. ეს ნაწარმოები საერთოდ ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლება რევოლუციურ თემატიკაზე დაწერილ ნამუშევრებს შორის. მხატვარმა მაღალ რეგისტრში აიყვანა ნაწარმოების ყიღერადობა. არაჩვეულებრივ ყალბი პალიტრა, სურათი პირველ რიგში გვიბიძგებს სადა, ბუნებრივი კომპოზიციით.

სემიონ გუეცკის მიერ შექმნილი გმირებისა და უბრალო მშრომელი კაცური ყაიდების მთელი გალერეა არ შეიძლება გულგრილად აღიქვათ. სამწუხაროდ, მხატვრის გამოფენა თბილისში არ ყოფილა და ძნელია ვრცლად ვილაპარაკოთ მის საინტერესო შემოქმედებაზე... ოთახადახდილი ჯარისკაცები, საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვეები... განცდილი ტკივილის და სიკვდილთან პირისპირ ბრძოლის ანაბეჭდს რომ ღირსებით ატარებენ, ადამიანები დიდი დაეოფრებული ხელებით — ასეთები არიან მისი გმირები.

მხატვარს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, თუმცა მასზე ბევრს წერენ ჩვენში და უცხოეთში.

თბილისის ქუჩებში დაბიჯებს თეთრთმიანი ფერწერი სემიონ გუეცკი, რომელიც ხატავს საქართველოს.

ნანა ჯაფარიძე.

სურათებზე: მარცხნივ ზემოთ — მხატვარი სემიონ გუეცკი, ქვემოთ — ქალიშვილის პორტრეტი.

საინტერესო ძებნების საველაქარიში

ზღვისპირეთის „მძინარე მზეთუნახავი“

შორეული აღმოსავლეთის მეცნიერებმა გამოიფრეს ზღვისპირეთის ძველ გამოქვაბულებში ნამპონ ქანდაკებათა საიდუმლოება. მთავარი გამოსახულება — „მძინარე მზეთუნახავი“, რომლის სახელი დაარქვეს სუჩანის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულს, გამოკვეთილი იყო სტალაქტიკის წარმონაქმნზე, არქეოლოგთა ვარაუდით შვიდასი წლის წინათ. მეცნიერები გაოცა იმან, რომ ეს ქანდაკება საოცრად გავდა ბუდის ძველ ქანდაკებებს, ინდოეთის გამოქვაბულებში. ახლა დადასტურდა, რომ ზღვისპირეთის „მძინარე მზეთუნახავი“ ინდოეთის შვიდიანობისა და მოწყალების ქალღმერთის ავალოკიტეშვარის „პორტრეტია“. ქალღმერთს „იცავს“ მისი ერთგული მცველი — ვეფხი, რომელიც კანონიერებას განასახიერებს. ძველმა ადამიანებმა ქალღმერთს მიანიჭეს მიწიერი სილამაზე, გამოკვეთეს იგი როგორც ლამაზი ქალი, რომელსაც ბაგეებზე უკრთის ალერსიანი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი, სპეციალოგებმა გადაიღეს „მძინარე მზეთუნახავის“ ქანდაკების თაბაშირის ჭირი.

ისტორიკოსთა აზრით, სპეციალოგთა აღმოჩენა ამტკიცებს იმ კულტურის თავისთავადობას, რომელიც ჭეროდათ ახლანდელ ნანაელთა და უდეგეელთა წინაპრებს — თანამედროვე საბჭოთა ზღვისპირეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტუნგუსთა ტომებს.

მუზეუმი... ტბის ფსკერზე

პატარა კუნძული არაიშუს ტბაში ბალტიისპირეთის არქეოლოგიური სენსაცია გახდა. მელიორატორებმა, რომლებმაც მეტრნახევრით დაადაბლეს წყლის დონე კუნძულის გარშემო, მთა აღმოაჩინეს მთელი „ქალაქი“, რომელიც ახალი წელთაღრიცხვით IX-X საუკუნეებს განეკუთვნება.

„ქალაქში“ სახლები განლაგებულია წყალ-წყალად — მათ შორის ვიწრო გასასვლელებია. ეს „ოროთახიანი“ და ასთი ფართობი 30 კვადრატულ მეტრს აღწევდა. ხარიხებისაგან გაკეთებული იატაკი დაფარულია მიწით. ყოველი სადგომის ცენტრში მომრგვალო თიხატკეცნილი ღუმელია.

ერთობ სრულყოფილია სადგომების წყალსარინი სადრენაჟო სისტემა. სხვათა შორის, ეს სისტემა გათხრების დროსაც მოქმედებდა... შორეულ წარსულში „ქალაქი“ ნაპირს უკავშირდებოდა ხის ხიდით, რომლის ნაშთები დღემდე შემორჩა.

არქეოლოგების აზრით, ერთგვარი რეკონსტრუქციის შემდეგ ათასწლოვანი ქალაქი შეიძლება ეთნოგრაფიულ მუზეუმად იქცეს.

პუშკინები, ლერმონტოვები...

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობს ხუთი... პუშკინი, ერთ-ერთი მათგანი ნატალია პუშკინა გაჰყვა თავისი ცნობილი მოგვარის კვალს. იგი ჯერ კიდევ სკოლაში წერდა ლექსებს თავისა, „პუშკინისეული“ სტილით. შემდეგ შევიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. „მდგომარეობა“ ავალებს: ნატალია ფრიადოსანია.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 ათას სტუდენტს შორის არიან ეუკოვსკები, ლერმონტოვები, კაპიცები, მიჩურინები და ხუთი ლომონოსოვი. მაგრამ ყველას „აჯობეს“ დიდი რუსი ექიმის ვ. პ. ფილატოვის მოგვარეებმა. უნივერსიტეტში 33 ფილატოვია. „სრული სენსია“ ვლადიმერ პეტრეს-ძე ფილატოვი — ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

უნივერსიტეტს ჰყავს თავისი მენდელეევიც, თუმცა მის მომავალ სპეციალობას საერთო არა აქვს რა ქიმიასთან. იგი სწავლობს ხუთსის ენას, რომლის არსებობა დ. ი. მენდელეევის დროს, ალბათ, არც კი იცოდნენ.

ქუჩებში—მსოფლიო ტექნიკურად გამართული ავტოტრანსპორტი

ჩვენი ინტერვიუ

ყოველი წლის გაზაფხულზე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ეწყობა ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმება. წელს რესპუბლიკაში ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმება დაიწყო 20 მარტს, და გაგრძელდება 20 მაისამდე. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ბ. ბახტურიძემ რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტომაუწყებლის უფროსს, რ. თუშურაშვილს.

— რა მიზანს ემსახურება ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმება და რას უნდა დამამზადებინოს ქუჩებში და გზებზე ავტომობილებისა და მოტოციკლების ინტენსივობის გამო დიდი ყურადღება ეთმობა ავტომობილის ეპარკის სათანადო ტექნიკური მდგომარეობის დაცვას. ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მზად არიან საავტომობილო მეურნეობანი შესრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციამ აწყობს ამ ლონისძიებებს. ტექნიკურად უნდა შემოწმდეს სახელმწიფო ავტოინსპექციაში მუდმივ ან დროებით აღრიცხვაზე აყვანილი, აგრეთვე აღრიცხვაზე ასაყვანი ყველა ავტომობილი, ავტოსაწვავარი, მისაბმელი და მოტოციკლი. შემოწმებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა მდგომარეობაშია ის აგრეგატები, მექანიზმები და დეტალები, რომელთა უწესრიგობა ემუქრება მოძრაობის უშიშროებას, აგრეთვე შუქის ფარების რეგულირების სისწორეს, აქვს თუ არა ტრანსპორტს რადიომიმღების დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებელი დასანრის ჩასაქრობი სამუალებანი. საჭიროა აგრეთვე გულმოდგინედ შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა მისაბმელები, ნახევარმისაბმელები, განსაკუთრებით კი თვით ავტომეურნეობების მიერ დამზადებული შემდეგ სახელმწიფო სტანდარტებს: „სახელმწიფო სტანდარტი 9314-59“ ავტომობილები და ავტომატარებლები, წონითი პარამეტრები და გაბარიტები, „სახელმწიფო სტანდარტი 3163-64“ მისაბმელები, ნახევარმისაბმელები და საერთო დანიშნულების თვლის სახსნელები, „სახელმწიფო სტანდარტი 8769-58“ ავტომობილები, გარეთა შუქის ხელსაწყოები, განლაგება და ფერი.

რის მიხედვით ფასდება ტრანსპორტის მდგომარეობა?

— სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას შეაფასებენ იმის მიხედვით, თუ როგორია შემოწმების მომენტში გამორკვეული მათი ძირითადი აგრეგატების მექანიზმებისა და ხელსაწყოების მდგომარეობა. გამეორებითი შემოწმების შედეგები ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა არ დაუშვათ ისეთი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაცია, რომელთა მდგომარეობა ემუქრება მოძრაობის უშიშროებას. ამავე დროს მოსამზადებელი ღონისძიებანი და ტექნიკური შემოწმება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობისა და ავტომობილების გარეგნობის გასაუმჯობესებლად, ამასთან ყურადღება უნდა დავუთმოთ მათს ფერს. საატენიონო ავტომობილებისა და მილიციის ავტომობილების ლუბირებული სანმორო ნიშნების დაწერას.

ამ ბოლო დროს გახშირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. საღამოს და ღამით, რომელთა მიზეზია ფარების შუქით მძღოლებისათვის თვალის „მოჭრა“, საჭიროა მოვაწყოთ ფარების რეგულირება. ამ საკითხზე ინსტრუქციის შესაბამისად, ამავე დროს უნდა გავაუმჯობესოთ მძღოლთა ინსტრუქტაჟი, რომ მათ ზუსტად დაიცვან ხელსაწყოებით სარგებლობის წესები. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმას, რომ აღმოვფხვრათ ავტომობილების ისეთი უწესიერობანი, რომლებიც აძლიერებენ ხმაურს, ქმნიან კვამლიანობას, ზეთისა და საწვავის ჟონვას, აბრკოლებენ რადიომიღებას და ა. შ.

— ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმების დაწყებამდე რა უნდა გაკეთონ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურმა მფლობელებმა?

— ზემოთჩამოთვლილს გარდა ტექნიკური შემოწმების დაწყებამდე ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მოაწესრიგონ სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვა, სახელმწიფო აღრიცხვიდან მოხსნან ავტომობილები და მოტოციკლები, რომელთა ექსპლოატაცია და რემონტი არ არის რენტაბელური არ დაუშვან ავტომობილების თვითნებური გადაკეთება, მოაწესრიგონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა ჩანაწერები ტექნიკურ პასპორტებსა და მათს ტალონებში შეესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალებათა ფაქტიურ მონაცემებს.

— სად იწარმოებს ტექნიკური შემოწმება?

— ტექნიკური შემოწმება იწარმოებს დამტკიცებული ერთიანი წესებით დიდ საავტომობილო მეურნეობებში, აგრეთვე სპეციალურ შესაკრებ პუნქტებში, რომლებსაც სახელმწიფო ავტოინსპექცია მოაწყობს წვრილ საკუთრებისა და ავტომობილების ინდივიდუალურ მფლობელთათვის, რასაც მათ დროზე აცნობებენ.

ᲞᲝᲠᲔᲩᲬᲘ, 5 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ოთხი მატჩიდან ერთ-ერთში პაერობა ექნებათ უნგრელ გროსმაისტერს **ლაიოშ პორტიშსა** და დანიელ გროსმაისტერ **ბენტ ლარსენს.** ადრე დანიის საჭადრაკო ფედერაციამ სულვილი გამოთქვა ეს მატჩი თავის ქვეყანაში გაემართა, მაგრამ ამაზე უარყოფითი პასუხი მიიღო. მატჩის ორგანიზაცია იუგოსლავიამ იკისრა. მეტოქეები ამ წინადადებაზე დათანხმდნენ.

გადაწყდა **ლ. პორტიშისა** და **ბ. ლარსენის** მატჩი გაიმართოს იუგოსლავიის პატარა საკურორტო ქალაქ პოლრიში. იმ ათი პარტიიდან, რომელიც იმ მოჭადრაკეებმა უნდა გათამაშონ, პირველი 5 მაისს შედგება. მანამდე კი **ბ. ლარსენი** და **ლ. პორტიში** მონაწილეობას მიიღებენ მონაკოს საერთაშორისო ტურნირში. საბჭოთა კავშირიდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები **მ. ბოტვინიკი** და **ვ. სმისლოვი.**

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲠᲘ

. კალათბურთელ ვაჟთა კოლეტივების საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრებში სიურპრიზები ცოტა როდია. ასეთთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის — **კიევის** არმიის სასპორტო კლუბის გუნდის სამი დამარცხება ზედიზედ. მესამე მატჩი კიეველებმა წაიგეს **რიგის** ვეფ-თან 58:67.

ლენინგრადის „სპარტაკმა“ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — **არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის** გუნდთან ორიგე მატჩის წაგების შემდეგ დაკარგული ქულები **სვერდლოვსკის** „ურალმაშთან“ შეხვედრებში აინაზღაურა, გაიმარჯვა 90:80 და 91:79.

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მოსკოვში მოგო **ტარტუს** „კალევს“ 60:53 და თვალსაჩინოდ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

აი ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა 26 მარტისათვის: ლენინგრადის „სპარტაკს“ 32 თამაშიდან 23 ქულა აქვს, კიევის სკა-ს — 35 თამაშიდან 22 ქულა, ცსკა-ს — 33 თამაშიდან 21 ქულა, თბილისის „დინამოს“ — 30 თამაშიდან 20 ქულა, ტარტუს „კალევს“ — 34 თამაშიდან 19 ქულა.

მომავალი მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს **თბილისის** „დინამოსა“ და **ლენინგრადის** „სპარტაკის შეხვედრები, რომლებიც 30 და 31 მარტს გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში.

თბილისელთა ნარმატება

ბერლინში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობდა თბილისის „დინამოს“ გუნდი. უკანასკნელ დღეს ქართველმა კალათბურთელებმა დამამარცხეს ლაიპციგის გუნდი ანგარიშით 80:69 (45:35) და პირველი ადგილი დაიკავეს. დინამოელები სამშობლოში გამომგზავრნენ.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲣ „ᲜᲔᲤᲗᲩᲘ“?

ბაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის — **„ენერელას“** გათამაშებას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ იგი უკვე პოპულარული ასპარეზობა გახდა. როგორც ცნობილია, **„ენერელას“** პირველი მფლობელი იყო **მოსკოვის** „დინამო“. ჩანს დინამოელებს წელსაც განზრახული აქვთ პრიზის შენარჩუნება. ყოველ შემთხვევაში ფინალში გასვლა მათ ამის გარკვეულ შანსებს აძლევს. დინამოელთა მტოქე ამ მატჩში იქნება **ბაკოს** „ნეფთჩი“, რომელიც ჩინებულ სპორტულ ფორმაშია.

როგორც ვხედავთ, ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალში აღიც ერთი გუნდი არ გასულა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. ამ გათამაშებაში ზოგი გუნდი ქეიფით, არის დაინტერესებული, ზოგი კი ახლგაზრდობის გამოცდით და გუნდის დაკომპლექტებით ჩემპიონატისათვის.

და აი, დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეგვიძლია ვნახოთ „ენერელასთვის“ მებრძოლი გუნდების — მოსკოვის „დინამოსა“ და ბაკოს „ნეფთჩის“ გადამწყვეტი მატჩი.

„ᲜᲐᲓᲘᲙᲐᲠᲘ“ „Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ

თელავი. (საკ. კორ.). დიდი სიხარული ხვდათ წილად თელაველ სპორტის მოყვარულებს. ამიერიდან ადგილობრივი „ნადიკვარი“ „ბ“ კლასში გამოვა.

დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს ახალი სტადიონის მშენებლობა, საშეფო ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები გაატარეს ახალი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. „ნადიკვარი“ ინტენსიურ წვრთნას გადის.

ᲒᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

ეს მოხდა 1865 წელს. ქ. ტრაპეზონის მიდამოებში, რომელიც ძველად კოლხიდის საზღვრებში შემოდიოდა, იპოვნეს უნიკალური სტატერი (ოქროს მონეტა). მონეტის შუბლზე გამოსახული იყო ალექსანდრე მაკედონელი, ხოლო ზურგზე — ტახტზე მჯდომი ათენა ქალ-ღმერთი. მონეტას ჰქონდა ბერძნული წარწერა — „ბასილეოს აკე“, რაც იგულისხმება, რომ იგი ეკუთვნოდა მეფე აკის.

ამჟამად ეს მონეტა დაცულია პარიზის მედლების კაბინეტში. თავის დროზე მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მეცნიერთა შორის. მაგრამ მათი დაეინებითი და მრავალრიცხოვანი ცდის მიუხედავად, მონეტის საიდუმლოება ამოუხსნელი რჩებოდა — არავინ იცოდა, თუ რომელი ქვეყნის მეფე იყო აკი ან რომელ პერიოდში მეფობდა იგი.

1946 წელს საქართველოს აკადს. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ზუსტად ანალოგიური სტატერი, რომელიც წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხაში ეპოვნათ. ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა დ. კაპანაძემ ძველი კოლხიდის ტერიტორიაზე ამ მონეტის ორგზის აღმოჩენის საფუძველზე, აგრეთვე სხვა არაპირდაპირი მონაცემების მოშველიების გზით (მაგალითად, მამაკაცის სახელი „აკი“ უკავშირდება ქართველურ სამყაროს და არა ბერძნულს და ა. შ.) წამოაყენა დებულება, რომ ეს უცნობი მეფე იყო კოლხიდის მმართველი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში მეფობდა. ეს მეტად საინტერესო მოსაზრება გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც. ამრიგად, ᲓᲐᲡᲐᲑᲘᲡᲢᲠᲔᲚᲐ ᲫᲕ. Წ. III ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ.

Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐ,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲐ



ლონდონის კაფე „როიალში“ მოდების ყოველწლიურ საგაზაფხულო ჩვენებაზე ახალი სენსაცია მოახდინა ქალის ქუდმა, რომელიც აკადემიური ნიჩბოსნობის ნავს წარმოადგენდა. სწორედ ასეთი ნავით უნდა იასპარეზონ კემბრიჯისა და ოქსფორდის სტუდენტებმა 30 მარტს.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ᲨᲣᲠᲘᲡ არ არის ევროპის ჩემპიონატი ძიუ-დოში, რომელიც ლოზანაში გაიმართება. გუნდები ემზადებიან, აწყობენ საერთაშორისო შეხვედრებს.

ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ბერლინის საერთაშორისო ტურნირი იყო, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდნენ საბჭოთა ძიუდოისტები. ჩვენმა მოჭიდაველებმა შეჯიბრებაზე სამი პირველი, ამდენივე მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კიეველი ნ. ᲨᲣᲨᲘᲪᲙᲘ (მხუბუქი წონა), თბილისელი ᲗᲘ. ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ქვესაშუალო წონა), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები ᲗᲘ. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ (საშუალო წონა), ᲗᲘ. ᲑᲘᲠᲙᲛᲘᲚᲪᲘ (ქვემძიმე წონა) და კოვეელი Შ. ᲡᲐᲣᲜᲘᲜᲘ (მძიმე წონა).

ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მესამე მუსიკალური სკოლის მოწვევით სასკოლო არდადეგების დღეებში თბილისელებს ესტუმრნენ მოსკოვის მეცამეტე მუსიკალური სკოლის ნოარჩი მუსიკოსები.

სურათზე: შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან) მოსკოვის სკოლის მოსწავლე ე. გოლიკოვა (მე-4 კლასი), თბილისის სკოლის მოსწავლეები ნ. მერაბიშვილი (მე-7 კლასი), თ. სავიცკაია (1-ლი კლასი) და მ. კანდელაკი (მე-7 კლასი), მოსკოვის სკოლის მოსწავლე ი. კისელენკო (მე-2 კლასი).

ფოტო ბ. ᲑᲝᲒᲝᲠᲮᲘᲐᲜᲘᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა. ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ—ᲢᲐᲚᲘᲜᲨᲘ

სსრ კავშირის ბადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიო პირველობაზე **ნ. გაფრინდაშვილისა** და **ა. კუშნირის** მატჩი ბაიმართება ტალინში. პირველი პარტია გათამაშდება 19 სექტემბერს.

ᲫᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

**